

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 25 ოქტომბრის №01-06/15 მორიგე  
სხდომის დღის-წესრიგის პროექტი

1. „ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში 2019 წელში განსახორციელებელი ღონისძიებათა დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 14 ივნისის №31 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელი: მერიის ეკონომიკური განვითარების  
სამსახურის უფროსი: სულიკო ბოლქვაძე  
თანამომხსენებელი: საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო  
კომისიის თავმჯდომარე: რეზო თურმანიძე

2. ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის მიერ 2019 წლის ცხრა თვეში გაწეული საქმიანობის ანგარიშის მოსმენის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელი: მერიის ეკონომიკური განვითარების  
სამსახურის უფროსი: სულიკო ბოლქვაძე  
თანამომხსენებელი: საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო  
კომისიის თავმჯდომარე: რეზო თურმანიძე

3. ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის მიერ 2019 წლის მესამე კვარტალში შესრულებული სამუშაოს ანგარიშის მოსმენის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელი: მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის  
სამსახურის უფროსი: დავით თედორაძე  
თანამომხსენებელი: საკრებულოს სოციალურ საკითხთა  
კომისიის თავმჯდომარე: ოთარ ხარაძე

**ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო**

**განკარგულება №**

**2019 წლის -- ოქტომბერი**

**დაბა ქედა**

**„ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში 2019 წელში განსახორციელებელი ღონისძიებათა დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 14 ივნისის №31 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. „ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში 2019 წელში განსახორციელებელი ღონისძიებათა დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 14 ივნისის №31 განკარგულებით დამტკიცებულ დანართ №1-ში შეტანილი იქნას ცვლილება და ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.
2. დანართი №1 წარმოადგენს განკარგულების განუყოფელ ნაწილს.
3. პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელებაზე კონტროლი უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ (კომისიის თავმჯდომარე - რეზო თურმანიძე).
4. ამ განკარგულების დაინტერესებული მხარეთათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა - მუხრან სალაძემ.
5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით დაინტერესებული მხარის მიერ მისი ძალაში შესვლის დღიდან ერთი თვის ვადაში, ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358).
6. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ქედის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარე

შუქრი თურმანიძე

## გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი   ბ ა რ ა თ ი

### ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში 2019 წელში განსახორციელებელი ღონისძიებათა დამტკიცების თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინდივიდუალური აქტის (განკარგულება) პროექტზე

#### ა) ზოგადი ინფორმაცია ინდივიდუალური აქტის პროექტის შესახებ:

ა.ა) ინდივიდუალური აქტის მიღების მიზეზი:

ინდივიდუალური აქტის მიღების მიზეზია „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალიტეტებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურებისა და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2019 წლის 28 თებერვლის №2 დადგენილება და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალიტეტებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2019 წლის 14 მარტის №39 განკარგულება.

ა.ბ) ინდივიდუალური აქტის მიღების მიზანი:

ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში 2019 წელში განსახორციელებელი ღონისძიებათა დამტკიცება და დადგენილი წესით მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დასახლებების (გარდა მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრისა) მუნიციპალიტეტისათვის განსაზღვრული თანხის განაწილება, მუნიციპალიტეტის მერის მიერ დასახლებების მიხედვით წარმოდგენილი შესაბამისი პროექტების (მათ შორის სავარაუდო ღირებულებების მითითებით) მიხედვით.

#### ბ) ინდივიდუალური აქტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) ინდივიდუალური აქტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

ინდივიდუალური აქტის მიღება არ გამოიწვევს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.

ბ.ბ) ინდივიდუალური აქტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

ინდივიდუალური აქტის მიღება გავლენას არ მოახდენს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) ინდივიდუალური აქტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

ინდივიდუალური აქტის მიღება გავლენას არ მოახდენს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

ინდივიდუალური აქტის მიღება არ წარმოშობს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

#### გ) ინდივიდუალური აქტის მიმართება საქართველოს სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) ინდივიდუალური აქტის მიმართება საქართველოს კანონმდებლობასთან:

ინდივიდუალური აქტის არ ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას და სამართლებრივ აქტებს.

გ.ბ) ინდივიდუალური აქტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

ინდივიდუალური აქტის პროექტის მიღების პროცესში გავლილი იქნა საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის იურიდიულ დეპარტამენტთან სამართლებრივი კონსულტაციები.

დ. ინდივიდუალური აქტის შემუშავებაში მონაწილე სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია (დაწესებულება), ექსპერტი, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ინდივიდუალური აქტის პროექტის შემუშავებაში წინასწარი სამართლებრივი დასკვნა არ მიღებულია.

დ.ა) ინდივიდუალური აქტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება ინდივიდუალური აქტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ინდივიდუალური აქტის შემუშავებაში აღნიშნულ სუბიექტებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

**ე) ინდივიდუალური აქტის ავტორი:**

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება.

**ვ) ინდივიდუალური აქტის წარმდგენი:**

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსი - სულიკო ბოლქვაძე.

**ზ) ინდივიდუალური აქტის ინიციატორი:**

ქედის მუნიციპალიტეტის მერი - ლევან გორგილაძე.

ქედის მუნიციპალიტეტი  
2019 წლის სოფლის მხარდაჭერის პროგრამა

N	ტერიტორიული ორგანო	სოფელი	მოსახლეობის რაოდენობა	გამოყოფილი თანხა	პროექტის დასახელება	პროექტის ღირებულება
1	დანდალო	დანდალო	347	12000	გარე განათების მოწყობა	12000
2		ბალაძეები	116	10000	მოსაცდელის აშენება	3300
					გარე განათების მოწყობა	6700
3		გოგიაშვილები	194	10000	საუბნო გზებზე დასაგებად მზა ბეტონის შექმნა	10000
4		მოსიაშვილები	169	10000	სასაფლაოების შემოღობვა და წყლის სისტემის მოწყობა	4100
					წისქვილის რემონტი	3500
					გარე განათების მოწყობა	2400
5	ტაკიძეები	186	10000	გარე განათების მოწყობა	6250	
				მოსაცდელის აშენება	3750	
6	ხარაულა	639	16000	საუბნო გზებზე დასაგებად მზა ბეტონის შექმნა	16000	
7	ჯალაბაშვილები	310	12000	საუბნო გზებზე დასაგებად მზა ბეტონის შექმნა	12000	
<b>ჯამი</b>				<b>80000</b>		
8	ცხმორისი	ცხმორისი	600	16000	გარე განათების მოწყობა	16000
9		ახო	594	16000	საუბნო გზებზე დასაგებად მზა ბეტონის შექმნა	16000
10		გეგელიძეები	428	16000	საუბნო გზებზე დასაგებად მზა ბეტონის შექმნა	16000
11		გობრონეთი	251	12000	სასმელი წყლისათვის მილების შექმნა	2000
					სოფლის სახლის რემონტი	10000
12		კოკოტაური	545	16000	საუბნო გზებზე დასაგებად მზა ბეტონის შექმნა	16000
13		ჩეტკიძეები	187	10000	საუბნო გზებზე დასაგებად მზა ბეტონის შექმნა	10000
<b>ჯამი</b>				<b>86000</b>		
14	წონიარისი	წონიარისი	499	16000	გარე განათების მოწყობა	16000
15		აბუქეთა	279	12000	გარე განათების მოწყობა	12000
16		ვარჯანისი	185	10000	გარე განათების მოწყობა	10000
17		კანტაური	76	10000	საუბნო გზებზე დასაგებად მზა ბეტონის შექმნა	4000
					გარე განათების მოწყობა	6000
18		საბადური	57	10000	გარე განათების მოწყობა	10000
					გარე განათების მოწყობა	9300
19	ტიბეთა	154	10000	წისქვილისათვის ელექტრო ძრავის შექმნა	700	
<b>ჯამი</b>				<b>68000</b>		
20	ზვარე	ზვარე	201	12000	გარე განათების მოწყობა	12000
21		ვაიო	409	16000	გარე განათების მოწყობა	13000
					საუბნო გზებზე დასაგებად მზა ბეტონის შექმნა	3000
22		ზესოფელი	205	12000	წისქვილის შენობების რემონტი (ორი წისქვილი)	8600
					სასმელი წყლის წყალგამანაწილებელი აუზის მშენებლობა	3400
23		კვამტა	279	12000	გარე განათების მოწყობა	12000
24	სირაბიძეები	252	12000	საუბნო გზებზე დასაგებად მზა ბეტონის შექმნა	12000	
<b>ჯამი</b>				<b>64000</b>		
25	დაბა ქედა	არსენაული	89	10000	საუბნო გზებზე დასაგებად მზა ბეტონის შექმნა	10000
26		აქუცა	262	12000	სასოფლო კლუბის რემონტი	12000
27		გულები	235	12000	საუბნო გზებზე დასაგებად მზა ბეტონის შექმნა	6000
					გარე განათების მოწყობა	6000
28		ზენდიდი	297	12000	სანიადფრე არხის მოწყობა	12000
29		კორომხეთი	160	10000	საუბნო გზებზე დასაგებად მზა ბეტონის შექმნა	10000
30		ორცვა	232	12000	საუბნო გზებზე დასაგებად მზა ბეტონის შექმნა	12000
31		ქედა	149	10000	საუბნო გზებზე დასაგებად მზა ბეტონის შექმნა	5000
					გარე განათების მოწყობა	5000
32		შევაბური	89	10000	საუბნო გზებზე დასაგებად მზა ბეტონის შექმნა	3100
					საცალფეხო ბილიკის მოწყობა	6900
33		ცხემნა	156	10000	საუბნო გზებზე დასაგებად მზა ბეტონის შექმნა	10000
34		ძენწმანი	197	10000	საუბნო გზებზე დასაგებად მზა ბეტონის შექმნა	5000
					გარე განათების მოწყობა	5000

35		ხუნკუდა	122	10000	გარე განათების მოწყობა	10000	
			<b>ჯამი</b>	<b>118000</b>			
36	პ/მაისი	პ/მაისი	525	16000	საუბნო გზებზე დასაგებად მზა ბეტონის შექმნა	16000	
37		ზედა აგარა	106	10000	საუბნო გზებზე დასაგებად მზა ბეტონის შექმნა	10000	
38		კოლოტაური	473	16000	საუბნო გზებზე დასაგებად მზა ბეტონის შექმნა	13600	
				გარე განათების მოწყობა	2400		
39		ქვედა აგარა	109	10000	საუბნო გზებზე დასაგებად მზა ბეტონის შექმნა	10000	
			<b>ჯამი</b>	<b>52000</b>			
40	მახუნცეთი	ქვ/მახუნცეთი	439	16000	ფანჯატურის მოწყობა 15 დასაჯდომით	4750	
					მინი სპორტული მოედნის განათება, დახაზვა	5750	
					საუბნო გზებზე დასაგებად მზა ბეტონის შექმნა	5500	
41	მახუნცეთი	ზედა ბზუბზუ	306	12000	გარე განათების მოწყობა	12000	
42		ზ/მახუნცეთი	203	12000	საუბნო გზებზე დასაგებად მზა ბეტონის შექმნა	12000	
43		ზუნდაგა	299	12000	გარე განათების მოწყობა	12000	
44		ქვედა ბზუბზუ	261	12000	გარე განათების მოწყობა	12000	
45		ქოსოფელი	72	10000	საუბნო გზებზე დასაგებად მზა ბეტონის შექმნა	10000	
46		მილისი	123	10000	საუბნო გზებზე დასაგებად მზა ბეტონის შექმნა	10000	
47		ნამლისევი	158	10000	გარე განათების მოწყობა	10000	
48		უჩხითი		260	12000	საუბნო გზებზე დასაგებად მზა ბეტონის შექმნა	7900
						სანიადრე არხის ცხაურის მოწყობა	4100
			<b>ჯამი</b>	<b>106000</b>			
49	დოლოგანი	დოლოგანი	417	16000	გარე განათების მოწყობა	7800	
					საუბნო გზებზე დასაგებად მზა ბეტონის შექმნა	8200	
50		ჭალახმელა	162	10000	გარე განათების მოწყობა	10000	
51		ჭინკაძეები	202	12000	გარე განათების მოწყობა	12000	
			<b>ჯამი</b>	<b>38000</b>			
52	ოქტომბერი	ოქტომბერი	247	12000	საუბნო გზებზე დასაგებად მზა ბეტონის შექმნა	12000	
53		აგოთა	122	10000	გარე განათების მოწყობა	10000	
54		გოგინძეები	95	10000	გარე განათების მოწყობა	10000	
55		კუჭულა	201	12000	გარე განათების მოწყობა	12000	
56		მეძიბნა	188	10000	გარე განათების მოწყობა	10000	
			<b>ჯამი</b>	<b>54000</b>			
57	მერისი		300	12000	გარე განათების მოწყობა	1800	
					მოსაცდელის აშენება საკანდილიძეების უბანში	4500	
წისქვილისათვის საშენებლო მასალების შექმნა					1700		
სასაფლაოზე მისასვლელი კიბეების მოწყობა					4000		
58	გარეტყე	89	10000	სოფლის სახლის მშენებლობა	10000		
59	გუნდაური		218	12000	გარე განათების მოწყობა	9000	
					პოლიეთილენის მილების შექმნა	3000	
60	ინაშარიძეები		200	10000	სოფლის სახლის სარემონტოდ თუნუქის სახურავის შექმნა	500	
					პოლიეთილენის მილების შექმნა	3500	
					გარე განათების მოწყობა	6000	
61	ნამონასტრევი		60	10000	საცალფებო კიბის მოწყობა მოაჯირით	1400	
					გარე განათების მოწყობა	8600	
62	სილიბაური		117	10000	200 ლიტრიანი პლასტმასის წყლის რეზერვუარის შექმნა	250	
					პოლიეთილენის მილების შექმნა	3150	
					თუნუქის სახურავის შექმნა	300	
					მოსაცდელის აშენება	3300	
63	სიხალიძეები		148	10000	გარე განათების მოწყობა	3000	
					გარე განათების მოწყობა	10000	
			<b>ჯამი</b>	<b>74000</b>			
			<b>სულ ჯამი</b>	<b>740000</b>			

**ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო**

**განკარგულება №**

**2019 წლის -- ოქტომბერი  
დაბა ქედა**

**ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის  
მიერ 2019 წლის ცხრა თვეში გაწეული საქმიანობის ანგარიშის მოსმენის შესახებ**

„ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 3 მაისის №6 დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. ცნობად იქნას მიღებული ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის 2019 წლის ცხრა თვეში გაწეული საქმიანობის ანგარიში, თანახმად დანართი №1-სა.
2. დანართი №1 წარმოადგენს განკარგულების განუყოფელ ნაწილს.
3. განკარგულების დაინტერესებული მხარეთათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა - მუხრან სალაძემ.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარეების მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358).
5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

**ქედის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარე**

**შუქრი თურმანიძე**

**ქედის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების სამსახურის მიერ  
2019 წლის ცხრა თვეში გაწეული საქმიანობის  
ანგარიში**

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის მიერ 2019 წლის დასაწყისიდან გეგმაზომიერად მიმდინარეობს მუშაობა ბიუჯეტით გამოყოფილი ფინანსების შესაბამისი შესყიდვის განსახორციელებლად და მუნიციპალური ქონების მართვის კუთხით.

ქედის მუნიციპალიტეტის მიერ 2019 წლის ექვს თვეში სახელმწიფო შესყიდვები განხორციელებული იქნა, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №2 ბრძანების „შემსყიდველი ორგანიზაციის ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ მე-4 მუხლის და 2010 წლის 20 სექტემბრის №7 ბრძანების „შესყიდვის ობიექტების იდენტიფიცირებისა და ერთგვაროვნების დადგენის წესის დამტკიცების შესახებ“ საფუძველზე რეგისტრირებული შესყიდვების გეგმის შესაბამისად. შესყიდვების გეგმაში ცვლილებების შეტანა ხდებოდა პერიოდულად ადგილობრივ ბიუჯეტში შესული ცვლილებების შესაბამისად, დღეის მდგომარეობით ქედის მუნიციპალიტეტის 2019 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმამ შეადგინა 6284183 ლარი.

სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებული იყო ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორცაა შესყიდვების წლიური და ინდივიდუალური დაგეგმვა, დაგეგმვის პროცესში პასუხისმგებლობების სწორი გადანაწილება, მიწოდების ბაზრის კვლევა, საკვალიფიკაციო და ტექნიკური მოთხოვნების პროპორციულად განსაზღვრა და სპეციფიკაციების შემუშავება.

2019 წლის 01 ივლისამდე სახელმწიფო შესყიდვების განსახორციელებლად გამოცხადებული იქნა 151 ტენდერი. გაფორმდა სულ 174 ხელშეკრულება, აქედან ელექტრონული ტენდერებით 85 ხელშეკრულება. სულ არ შემდგარი, შეწყვეტილი და უარყოფითად დასრულებული ტენდერების რაოდენობამ შეადგინა 32. მათ შორის არ შედგა 14, შეწყვეტილია 11 და უარყოფითად დასრულდა 10 ტენდერი. გასაჩივრდა დავების საბჭოში 3 ტენდერი, მათ შორის ერთი არ არის დასრულებული.

შესყიდვების სააგენტოს თანხმობით, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით გამარტივებული შესყიდვით განხორციელდა: „სოფლის მოსახლეობის ექიმამდელი სამედიცინო დახმარების“ და ფსიქიკური აშლილობის მქონე პირების „თემზე დაფუძნებული მობილური გუნდის მომსახურების პროგრამით გათვალისწინებული შესყიდვები 202200 ლარის ფარგლებში. ექსკლუზიური უფლებამოსილებით - ადმინისტრაციული შენობის დაცვა - 69600 ლარი და კულტურული ღონისძიებების ორგანიზებასთან დაკავშირებული მომსახურება 35898,36 ლარი.



ჩატარებული ელექტრონული ტენდერების ძირითადი ნაწილი მოდის ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებაზე, როგორცაა: მეწყერსაწინააღმდეგო ღონისძიებები, მოსახლეობის სასმელი წყლის წყალმომარაგებით უზრუნველყოფა, დაბის და ტერიტორიული ერთეულების ცენტრების კეთილმოწყობა, გარე განათების მოწყობა, ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება, შიდა-საუბნო სასოფლო გზების მოწყობა, მინი სპორტული მოედნების, ამბულატორიების რემონტი და სხვა ღონისძიებები განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებულ ანგარიშგების საკითხებს. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №2 ბრძანების „შემსყიდველი ორგანიზაციის ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ შესაბამისად ხდება შესყიდვებთან დაკავშირებული ანგარიშგების მომზადება და ერთიანი ელექტრონული სისტემაში ატვირთვა.

ეკონომიკური განვითარების სამსახურის მიერ აჭარის ა.რ მთავრობის 2019 წლის 14 მარტის №39 განკარგულებით სოფლის მხარდაჭერის პროგრამისათვის გამოყოფილი 740 000 ლარის ფარგლებში სოფლის მოსახლეობაში ჩატარებული კრებების შესაბამისად შედგენილია პროგრამა, რომელიც მოიცავს 93 ღონისძიებას. დღეის მდგომარეობით მიმდინარეობს მუშაობა აღნიშნული ღონისძიებებით გათვალისწინებული სამუშაოების შესყიდვისათვის. უკვე დასრულებულია 79 ღონისძიება, მიმდინარეობს სამუშაოები 14 ღონისძიებაზე, რომელიც დასრულდება ნოემბრის ბოლომდე.

გარკვეული სამუშაოები მიმდინარეობს მუნიციპალური ქონების აღრიცხვის, რეგისტრაციის, გასხვისების და მოვლა-პატრონობის კუთხით. კერძოდ დასრულდა ტენდერში გამარჯვებული კომპანიის მიერ არსებული მუნიციპალური ქონების აუდიტორული შეფასების მათი კლასიფიკაციის და შესაბამისი აღრიცხვის ელექტრონული ბაზის შექმნის მიზნით დაწყებული მუშაობა, რითაც დაზუსტდა არსებული ქონების განახლებული საბალანსო ღირებულებები, შეიქმნა ქონების ელექტრონული ბაზა.

ქონების პრივატიზების მიზნით საკრებულოს მიერ დამტკიცებული ნუსხის მიხედვით მოხდა ორი ერთეული მიწის ნაკვეთის პრივატიზება, მომზადებულია დოკუმენტაცია ერთი ერთეული ქონების პრივატიზებისათვის.

წლის განვლილ პერიოდში მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებით აჭარის საგზაო დეპარტამენტზე, შპს „კომუნალურსერვის“-ზე, აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროზე და საქართველოს იუსტიციის სამინისტროზე გადაცემულია 29 ერთეული ქონება, კერძოდ სარწყავი არხები, სპეცტექნიკა და მიწის ნაკვეთები. მიმდინარეობს მუშაობა და მომზადდა დოკუმენტაცია მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ბინების 4 ერთეულის მეპატრონეებზე გადაცემისათვის, კერძოდ სოფელ ჭინკაძეებში ადრე არსებული მეცხოველეობის მწყემსთა ბინების მეპატრონეებზე გადასაცემად.

წლის განვლილ პერიოდში სულ სამსახურში შემოსულია 827 წერილობითი დოკუმენტი მათგან 356 მოქალაქის განცხადება, 471 კორესპონდენცია მოხსენებითი ბარათი, რომლებზეც დროულად მოხდა შესაბამისი რეაგირება და გაცემულია პასუხები. მოქალაქეთა ძირითადი

განცხადებები შეეხება მიღების, სახურავების გამოყოფას, სხვადასხვა პროექტების განხორციელებას და ქონების რეგისტრაციასთან დაკავშირებულ საკითხებს, სამსახურის განყოფილებებში შედგენილია და გაგზავნილია 320 წერილობითი დოკუმენტი სახელმწიფო უწყებებში და კერძო კომპანიებში, რომლებიც შეეხება ქონების რეგისტრაციას, მათი მუნიციპალიტეტზე გადმოცემას, მიწათსარგებლობასთან დაკავშირებულ საკითხებს, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების და სხვა საკითხებს.

სამსახურის წინაშე მდგარი ამოცანების გადაწყვეტისათვის ზოგჯერ იქმნება სირთულეები ზემდგომ ინსტანციებში მოთხოვნის დროულად განუხილველობის გამო კერძოდ, ქონების გადმოცემასთან დაკავშირებით, მაგალითად 2018 წლიდან დღემდე უშედეგოდ მოვითხოვთ ქონების მართვის სააგენტოსგან დაბა ქედასა და კ/მაისში მიწის ნაკვეთების გადმოცემას, ანალოგიურად რთულდება სატყეო ფონდში მოხვედრილი მიწის ნაკვეთების ტყის ფონდიდან ამორიცხვა.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

2019 წლის -- ოქტომბერი  
დაბა ქედა

**ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამსახურის  
მიერ 2019 წლის მესამე კვარტალში შესრულებული სამუშაოს ანგარიშის მოსმენის შესახებ**

„ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 3 მაისის №6 დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. ცნობად იქნას მიღებული ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამსახურის მიერ 2019 წლის მესამე კვარტალში შესრულებული სამუშაოს ანგარიში, თანახმად დანართი №1-სა.

2. დანართი №1 წარმოადგენს განკარგულების განუყოფელ ნაწილს.

3. განკარგულების დაინტერესებული მხარეთათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა - მუხრან სალაძემ.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარეების მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358).

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ქედის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარე

შუქრი თურმანიძე

**ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის  
მესამე კვარტლის ანგარიში**

სამსახურის მიერ გარკვეული მუშაობა იქნა გაწეული მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების, სტიქიური მოვლენების შედეგად მიყენებული ზარალის შესწავლისა და ანაზღაურების მიზნით. მოქმედებს სულ 12 მიზნობრივი პროგრამა კერძოდ:

1. „სოციალურად დაუცველი ფენისათვის ყოველდღიური ერთჯერადი უფასო კვებით უზრუნველყოფა“, რომლის მთლიანი ბიუჯეტი შეადგენდა 25 200 ლარს. პროგრამა განახორციელა ტენდერში გამარჯვებული ინდ. მეწარმე შ.პ.ს. „არსი“2-მა და ისარგებლა 23 მოქალაქემ, რაზეც მესამე კვარტალში დაიხარჯა 6031,34 ლარი. სამსახურის მიერ პერიოდულად ხორციელდება მონიტორინგი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების მიზნით.

2. „ამბულატორიული მომსახურების პროგრამა“, რომლის ბიუჯეტი შეადგენდა 166 600 ლარს. ამბულატორიების ტრანსპორტითა და მომსახურებით უზრუნველსაყოფად მესამე კვარტალში ჩარიცხულია 33091 ლარი, სადაც გათვალისწინებული იყო მძღოლების ხელფასი, საწვავი, ელექტროენერჯის გადასახადი, ექიმის ჩანთის შევსება და დაზღვევის გადასახადი.

3. „უკიდურესად გაჭირვებულ ოჯახებში გარდაცვლილ პირთა დაკრძალვისათვის ერთჯერადი დახმარების პროგრამა, რომლის ბიუჯეტი შეადგენდა 24 000 ლარს. მესამე კვარტალში პროგრამით ისარგებლა 14 ოჯახმა (სარეიტინგო ქულა 100000-ზე ნაკლები) და თითო ოჯახს გაეწია 400 ლარიანი დახმარება. დახარჯულია 5600 ლარი.

4. „ჰემოდიალიზის სეანსებით მოსარგებლე ბენეფიციართა (თანმხლები პირის ერთად) მგზავრობის ღირებულების ანაზღაურების პროგრამა“, რომლის ბიუჯეტი შეადგენდა 13 800 ლარს. პროგრამით სარგებლობს 8 მოქალაქე. მესამე კვარტალში გახარჯულია 1856,40 ლარი

5. „ვეტერანთა სარიტუალო მომსახურების, სადღესასწაულო დღეების ორგანიზებისა და დახმარების“ პროგრამა რომლის ბიუჯეტი შეადგენდა 30 720 ლარს. აღნიშნული პროგრამით სარგებლობს 190 ვეტერანი.

6. „ოთხ და მეტ შვილიან ბავშვთა ოჯახებზე (18 წლამდე ასაკის ბავშვები) ერთჯერადი მატერიალური დახმარების პროგრამა“, რომლის ბიუჯეტი შეადგენდა 56000 ლარს. აღნიშნული პროგრამით ისარგებლა 56 ოჯახმა.

7. „საცხოვრებელ სახლებზე ამორტიზირებული სახურავების შეცვლის“ მიზნობრივი პროგრამა, ბიუჯეტი შეადგენდა 30 000 ლარს. შესყიდულია 28297,50 ლარის თუნუქის სახურავი, რომლის მოსახლეობაზე გაცემა მოხდა შესაბამისი კომისიის გადაწყვეტილებით. სულ 35 ოჯახზე.

8. „სოფლის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების“ პროგრამა, რომლის მთლიანი ბიუჯეტი შეადგენდა 143100 ლარს. მესამე კვარტალში გახარჯულია 33508,44 ლარი. მოსახლეობას ემსახურება 39 მედდა, რომლებიც აღჭურვილი არიან პირველადი მოხმარების მედიკამენტებითა და დამხმარე საშუალებებით. სისტემატიურად ხორციელდება პროგრამის მონიტორინგი.

9. „თემზე დაფუძნებული მობილური გუნდის მომსახურება მძიმე ფსიქიკური აშლილობის მქონე პირებისათვის“. პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი შეადგენდა 91650 ლარს. მესამე კვარტალში გახარჯულია 41950 ლარი. მობილური გუნდი ყოველთვიურად ადგილზე მისვლით ახდენს 50-60 ფსიქიკური აშლილობის მქონე პირების მონახულებას, უწევს მათ შესაბამის მომსახურებას და სპეციფიკური მედიკამენტების მიწოდებას.

10. „ჯანმრთელობის ზიანის რისკების შემცირება, სოფლად მცხოვრები გახარჯულია 11153,30 ლარი არამობილური ხანდაზმულებისათვის“ პროგრამის ბიუჯეტი შეადგენს 12660 ლარს. სარგებლობს 9 მოქალაქე. მესამე კვარტალში ჩარიცხულია 3270 ლარი. პროგრამა ხორციელდება დახმარების ეროვნული ფონდის თანადაფინანსებით. ბენეფიციარებს მიეწოდა ყელსაბამები (ე.წ განგაშის ზარი) და ხელჯოხები. პროგრამაში ჩართული არიან მოხალისეები და უბნის ექიმები.

11. „სამედიცინო და სოციალური რეაბილიტაციის პროგრამაში ჩართულ ბავშვთა აბილიტაცია/რეაბილიტაციის კურსებზე მგზავრობის ხელშეწყობა“, რომლის ბიუჯეტი შეადგენდა 12 500 ლარს. მესამე კვარტალში გახარჯულია 4358 ლარი.

12. „ძველი საცხოვრებელი სახლების მქონე ოჯახებზე ახალი საცხოვრებელი სახლების შექმნა“, მთლიანი ბიუჯეტი შეადგენს 75 000 ლარს. აღნიშნული პროგრამის განსახორციელებლად გამოცხადდა ტენდერი, გამოვლენილია ფირმა და მიმდინარეობს სახლების მშენებლობა.

სამსახური გარკვეულ მუშაობას ატარებს ოჯახების მოწყვლადობის განმაპირობებელ ფაქტორებზე და შ.შ.მ პირების სოციალიზაციისა და საზოგადოებაში ადაპტაციის კუთხით. შეიქმნა მომუშავე მრჩეველთა საბჭო.

სამსახურის მიერ სისტემატიურად ხორციელდება მონიტორინგი თსკ-სა და პჯდ- ის ცენტრებში.

გარდა პროგრამებისა გარკვეული მუშაობა იქნა გაწეული სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული მოსახლეობის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. შუამდგომლობა გაეწია აღნიშნულ პროგრამაში ჩასართავად 5 ოჯახს.

სამსახური ჩართულია სხვადასხვა კუთხით შექმნილი კომისიების მუშაობაში. მესამე კვარტალში შემოსულია 35 განცხადება საცხოვრებელი სახლებისა და მიმდებარე ტერიტორიების გეოლოგიურად შესწავლასთან დაკავშირებით. შესწავლილია გეოლოგიური სამსახურის მიერ და წარმოდგენილია შესაბამისი დასკვნები, სადაც მითითებულია სხვადასხვა რეკომენდაციები, როგორც განსახლება, ასევე საცხოვრებელი სახლის გამაგრება და მიმდებარე ტერიტორიების ფერდსამაგრი კედლის მოწყობა. დასკვნების საფუძველზე ხდება შესაბამისი რეაგირება.

შუამდგომლობა გაეწია ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში ჯანმრთელობის პრობლემების მქონე 12 მოქალაქეს. ასევე სამსახური შუამდგომლობით შევიდა მუნიციპალიტეტის მერთან 28 მოქალაქეზე სხვადასხვა ოპერაციებისა და მკურნალობის დასაფინანსებლად.

სოციალური მომსახურების სააგენტოსთან, სოციალური დახმარების კუთხით, განმეორებით შესწავლაზე შუამდგომლობა გაეწია 6 მოქალაქეს.

შემოსულ კორეპოდენციებზე (განცხადება, საჩივრები და ზემდგომი ორგანოებიდან გამოგზავნილი წერილები) ყველა მათგანზე გაცემულია შესაბამისი პასუხები.